



## აზერბაიჯანული ოპოზიციის აქტივისტი დაშინ აღარარლი ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ გამოდის, რომელმაც უარი განუცხადა თავშესაფრის მიღებაზე

გამოქვეყნებულია: 2017 წლის 23 ნოემბერს

*“მე აზერბაიჯანელი ხელისუფლების ბრძანებით დამაპატიმრეს, მაგრამ სწორედ ქართული ხელისუფლების წარმომადგენლები მეპყრობოდნენ წესების დარღვევით და უსამართლოდ. მიუხედავად აღიარებისა, რომ მე ვიდევნებოდი პოლიტიკური ნიშნით, მათ მაინც უარი განაცხადეს ჩემთვის და ჩემი შვილისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფაზე. ყველა სასამართლო პროცესი გავიარე საქართველოში, მე სხვას ვერავის ველარ მივმართავ დახმარებისთვის. საქართველო ევროპის საბჭოს წევრია და ვალდებულია დაიცვას ევროპული სტანდარტები, მათ შორის, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებებს. მე მჯერა ევროპული სასამართლოსი, რომ ჩემს საქმეს გადაწყვეტს.”*  
დაშინ აღარარლი, აზერბაიჯანული ოპოზიციის აქტივისტი

2017 წლის 19 სექტემბერს აზერბაიჯანული ოპოზიციის ცნობილმა აქტივისტმა დაშინგ აღარარლიმ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადით გაასაჩივრა საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავშესაფრის მიცემის თაობაზე. მიუხედავად აღიარებისა, რომ აზერბაიჯანში მისი დევნა ხორციელდებოდა, ხელისუფლებამ მის თხოვნას, მიეცათ თავშესაფარი უარით უპასუხა, მიზეზად დასახელდა სახელმწიფო უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგი. როგორც აქტივისტი აცხადებს, ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი უსაფუძვლოა. [დაშინს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი, დაარსებული მიდლსექსის უნივერსიტეტის ბაზაზე და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი](#) (თბილისი).

დაშინი 1993 წლიდან ოპოზიციური პარტიის წევრია და ყოფილი აზერბაიჯანელი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მუდმივი კრიტიკოსი, ისევე როგორც ამჟამინდელი პრეზიდენტის ილჰამ ალიევისა. დაშინმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან მასზე თვალთვალი, დევნა და მუქარები დაიწყო 2003 წელს და გაძლიერდა მას შემდეგ რაც მან დაიწყო ოპოზიციური პარტიის კანდიდატის აქტიური კამპანიის წარმოება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ამის შემდგომ იგი მალე გაემგზავრა უკრაინაში, შემდეგ თურქეთში, მაგრამ შიშობდა, რომ აზერბაიჯანი მოახდენდა მის ექსტრადიციას ორივე ქვეყნიდან. 2014 წლის მარტში იგი შეეცადა თურქეთიდან საქართველოში შემოსულიყო, იმ განზრახვით, რომ მოეპოვებინა თავშესაფარი, მაგრამ იგი ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს, რადგანაც ოპოზიციონერი აქტივისტი წითელი ცირკულარით იძებნებოდა ინტერპოლის მიერ. მას უთხრეს, რომ იგი იძებნებოდა აზერბაიჯანული მხარის მიერ გადასახადების გადახდის თავიდან აცილების მიზეზით, რის გამოც მან მოიხადა 6 თვიანი სასჯელი და ციხიდან გამოვიდა 2014 წლის აგვისტოში .

ციხეში ყოფნისას მან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართა თხოვნით მიენიჭებინათ მისთვის ლტოლვილის სტატუსი, ისე, როგორც ეს მისმა ვაჟიშვილმა გააკეთა, რომელიც საქართველოში 2015 წლის თებერვალში ჩამოვიდა. საქართველოს




კანონმდებლობის გათვალისწინებით, თავშესაფრის განაცხადების განხილვის გადახედვა წარმოებს განცხადების მიღებიდან 6 თვის შემდეგ: თუმცა დაშინს თავშესაფრის მიღების შესახებ უარყოფითი პასუხი ეცნობა 18 თვის შემდგომ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აღიარა, რომ შესაძლოა გაგრძელდეს დაშინის და მისი ვაჟიშვილის დევნა მათი აზერბაიჯანში დაბრუნების შემდეგ (საქართველოს კანონისა და გაეროს 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის თანახმად, მათ ქონდათ ყველა იმ მოთხოვნაზე პასუხი, რაც საჭიროა ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად); თუმცა მათ განაცხადეს, რომ ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს... სერიოზული გარემოებების გამო. თბილისის საქალაქო სასამართლომ სამინისტროს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად სცნო. ამ საქმის განხილვისას დაშინმა შეიტყო, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წერილს, რომელიც მას არასდროს უნახავს და სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, რომ მას შეუძლია შეუქმნას საფრთხე სახელმწიფო უსაფრთხოებას და / ან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზოგადოებრივ წესრიგს. მიუხედავად ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ინფორმაციის მიწოდების გარეშე, ამგვარი საფრთხის შექმნის შესახებ. სამინისტროსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული არგუმენტაციის ნაკლებობა მეტყველებს სერიოზულ პრობლემაზე, ხელისუფლების დისკრეციულ უფლებამოსილებებზე, რათა ასეთი გადაწყვეტილებები მიღებულ ან გაკონტროლებულ იქნას მცირე სასამართლო ზედამხედველობის მიერ. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მას და მის ვაჟს არ მიუღიათ მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან და ცხოვრობენ ცუდ პირობებში.

*“ცხადია, რომ ლტოლვილთა სამინისტრომ უნდა გაამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, როდესაც იგი თავშესაფრის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, მაშინ როცა რეალურად ამის უფლება არ აქვს. სამინისტროს მიერ ასეთი საკითხების გადაწყვეტილებების რეგულარულ და სისტემატიურ ხასიათს ატარებს: დაშინის საქმე საშუალებას გვაძლევს გავაპროტესტოთ და შევამციროთ სახელმწიფო უფლებამოსილებები, რომლებიც დისკრედიტაციულია.”*

*თამარ ავალიანი, ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი (თბილისი)*

დაშინი ევროპულ სასამართლოში აცხადებს, რომ მისი უფლება სამართლიანი სასამართლო განხილვის შესახებ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6 პუნქტის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვას (ECHR), სამინისტროს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული არგუმენტაცია თავშესაფრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ იყო უსაფუძვლო და რომ მას არ ჰქონდა რაიმე სამართლებრივი საშუალება ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად (მუხლი 13 ECHR). საბოლოო ჯამში, მან წამოსწია საკითხი, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების, კერძოდ მისი და მისი ოჯახის წევრების უფლებების დარღვევას ECHR მე-8 მუხლის შესაბამისად, ეს დარღვევები კი გამოიწვია სამინისტროს უარმა მისთვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე.



დაშვინის საქმე არ არის ცალკეული მაგალითი: [საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით](#), 2016 და 2017 წლებში სახელმწიფო უშიშროების ზონაში შესვლაზე აზერბაიჯანის მოქალაქეთა ნახევარზე მეტს უარი ეთქვა. ბოლო თვეებში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი პატიმრების უსაფრთხოების ზრდა განსაკუთრებით აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ავღან მუხტარლის გატაცების შემდეგ გაიზარდა, რომელიც მოგვიანებით აზერბაიჯანში პატიმრობაში დაბრუნდა. [საერთაშორისო პარტნიორობამ ადამიანის უფლებებისათვის](#), [თავისუფლება ახლა-მ](#) და [ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა](#) (თბილისი) სექტემბერში გამოაქვეყნა ერთობლივი მოხსენება, რეპრესიები საზღვრებს მიღმა: [საქართველოდან განდევნილი აზერბაიჯანელები, დაშვინის და სხვათა საქმეები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ პერსონალურ თავისუფლებას და უსაფრთხოებას](#).